04.10.2021 წ.

#04-10 - გ

საქართველოს პარლამენტს

შპს „ალმა“-ს (ს/ნ 204873388) (მის: ქ. თბილისი,
[redacted]

საკანონმდებლო წინადადება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ შემდეგ საკანონმდებლო წინადადებას:

ბოლო პერიოდში, საზოგადოების ნაწილის მხრიდან (სამართლიანად და ობიექტურად) ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში გარე სარეკლამო კონსტრუქციებზე სიძულვილის ენის შემცველი სარეკლამო ვიზუალის განთავსებას. როგორც ჩვენ მიერ არაერთხელ იქნა გაჟღერებული, არ ვეთანხმებოდით აღნიშნული სარეკლამო ბანერების განთავსებას, იმის გათვალისწინებით, რომ სიძულვილის ენის გამოყენება, საზოგადოების პოლარიზაციისა და აგრესიის გამოწვევის ნებისმიერი მცდელობა მიუღებელია, თუმცა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ჩვენ, როგორც რეკლამის გამავრცელებლებს არ გვქონდა რეკლამის დამკვეთისათვის მომსახურების გაწევაზე უარის თქმის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი.

სიძულვილის ენის შემცველი და აგრესიის გამომწვევი რეკლამის განთავსება საქართველოს ქალაქებსა და სხვა მუნიციპალიტეტებში ხელს უყობს საზოგადოების პოლარიზაციას და უარყოფითად აისახება სახელმწიფოსა და დემოკრატიის განვითარებასა და მდგრადობაზე, საზოგადოების სხვადასხვა აქტორებისა და დაინტერესებული პირების ცივილური

Advertising Company ALMA
46/50 Kostava str. Tbilisi 0179, Georgia
Phone: (+995 32) 2 225 225
info@alma.ge | www.alma.ge

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N 1-13391/21
-04-10 2021 წ. ფურც. 2

ურთიერთთანამშრომლობის სტანდარტზე, ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ. აღნიშნულის დასტურად ზემოაღნიშნული სარეკლამო კამპანია და მასთან დაკავშირებით საზოგადოების ნაწილის რეაქციაც გამოდგება.

შესაბამისად, ზემოაღნიშნულისა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების ფარგლების გათვალისწინებით, გთხოვთ შეიმუშაოთ, განიხილოთ და მიიღოთ საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ან/და სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში სათანადო ცვლილებები, რომლებიც შეზღუდავს/აკრძალავს საქართველოს თვითმმართველ ქალაქებსა და სხვა მუნიციპალიტეტებში საარჩევნო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში სიძულვილის ენის შემცველი, საზოგადოების პოლარიზაციისა და აგრესიის გამომწვევი, არაეთიკური, არაკეთილსინდისიერი და სხვადასხვა პირებისა და პირთა ჯგუფებისადმი შეურაცხმყოფელი რეკლამის განთავსებას.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები მისცემს შესაძლებლობას რეკლამის გამავრცელებებს ლეგიტიმური უარი განუცხადონ რეკლამის დამკვეთებს სიძულვილის და აგრესიის პროპაგანდის შემცველი, შეურაცხმყოფელი სარეკლამო ვიზუალის მის მფლობელობაში არსებულ სარეკლამო საშუალებებზე განთავსებაზე და ხელს შეუწყობს საზოგადოების დეპოლარიზაციას, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისა და აქტორების ურთიერთობის სტანდარტების ამაღლებას სახელმწიფოსა და საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ვიტოვებთ თქვენი მხარდაჭერის იმედს და გამოვთქვამთ მზადყოფნას, მონაწილეობა მივიღოთ ჩვენი საკანონმდებლო წინადადების შემდგომი დამუშავებისა და განხორციელების პროცესში.

პატივისცემით,

გიორგი ტრაპაიძე

დირექტორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალმა“
ALMA
204873388
ALMA Ltd